:

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

2025

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები და ამოცანები 3

შესავალი 3

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა 4

ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების ამოცანები 5

თავი II. ხარისხის მენეჯმენტი და მმართველობითი პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 8

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი 8

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა გარემოს მონაწილე ძირითადი ერთეულები 9

ხარისხის უზრუნველყოფის გარე გარემოს მონაწილე ძირითადი პირები 9

მმართველობითი პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა 10

ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორები 11

სტრუქტურული ერთეულების მონიტორინგის და საქმიანობის შეფასების სისტემა 13

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა 16

თავი III. სტრატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები 18

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია 18

თავი IV. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები და პროცედურები 20

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ხედვა 20

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავების და დამტკიცების პროცედურა 21

საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების სუბიექტი 21

საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატივის განხილვა 22

ჩარჩო მოთხოვნები ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადის მიმართ 22

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, კურიკულუმის სამუშაო ჯგუფი 23

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროექტის ინიცირების, შემუშავების და დამტკიცების პროცედურა 24

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფცირების ინიცირების სუბიექტი 24

ჩარჩო მოთხოვნები ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადის მიმართ 25

საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავებისა და განხილვის ფაზა 26

საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადის შეფასება 27

შეფასების განხილვის წესი 30

პროგრამის დამტკიცება 30

პროგრამის შეფასების შედეგებზე რეაგირება 31

პროგრამის აკრედიტაციის შედეგები 31
თავი V. სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის შეფასების პროცედურები და მექანიზმები 33
პროცედურის აღწერა 33
სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასების პროცედურები 34
მონიტორინგი 34
სასწავლო პროცესის მონიტორინგი 34
გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი 35
სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება 35
სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება 37
სწავლის შედეგების შეფასება 38
სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი 39
შეფასების შედეგებზე რეაგირება 41
უკუკავშირის მექანიზმები 42
თავი VI. სამეცნიერო კვლევების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 43
მიზანი 43
კვლევის პროექტის ხარისხის უზრუნველყოფა 44
განხორციელებული კვლევის ხარისხის უზრუნველყოფა 44
აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება 44
სტუდენტური კვლევების წახალისება 45
განხორციელებული კვლევების საჯაროობა 45
თავი VII. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები 46
ახალი საგანმანთლებლო პროგრამის პროექტის საექსპერტო შეფასება 46
მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის საექსპერტო შეფასება 46
სტრატეგიული განვითარების გეგმის გარე შეფასება 47
მმართველობითი პროცესების გარე შეფასება 47
გარე ინსტიტუციური შეფასება (Peer Review) 48
აკრედიტაცია 48

თავი I. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები და ამოცანები

შესავალი

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბაუ) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა შეესაბამება პერსონალის, სტუდენტების, მომავალ კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებული საზოგადოების/მხარეების (stakeholders) საჭიროებებსა და ინტერესებს.

ხარისხის მართვის პოლიტიკა ეფუძნება მის მიღებამდე მოქმედ სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტებს - საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს, ასევე უნივერსიტეტის განვითარების მიმართულებების და ხარისხზე ორიენტირების ღირებულების შესაბამისად ქმნის მმართველობითი და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის განახლებულ სისტემას.

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის ერთიანი სისტემის მიზანია ემსახუროს საზოგადოების განვითარებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ამ პროცესში საქმიანობის სფეროს და სპეციფიკის გათვალისწინებით.

ხარისხის უზრუნველყოფის ზოგად მიზნებს წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარება, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა (როგორც ინსტიტუციის, ისე, კურსდამთავრებულთა დონეებზე), საზოგადოების ინტერესებისა და დაინტერესებული მხარეების მისწრაფებების ხელშეწყობა.

ზოგადი მიზნების გათვალისწინებით, სწავლება-სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მიზანი და, შესაბამისად, ხარისხის ზოგადი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი.

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ემყარება ხარისხის კონცეფციის ორ მნიშვნელოვან ინტერპრეტაციას, **პროცესის ხარისხს** და **სწავლების ხარისხს.**

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

ბაუს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა დაფუძნებულია, ზოგადად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის ზოგად მიზნებზე და მორგებულია სასწავლო უნივერსიტეტის სპეციფიკურ საჭიროებებზე.

ბაუს ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად მიზნებს წარმოადგენენ:

- **ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი კულტურის შექმნა, რომელშიც ყველა სტუდენტი, პერსონალი, როგორც აკადემიური ისე ადმინისტრაციული, მუდმივად ჩართულია და წვლილი შეაქვს სწავლება-სწავლისა და კვლევითი პროცესების გაუმჯობესებაზე.**

  ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრება პერსონალის ცალკეულ წევრებს, აღწერილია მათ ფუნქციებში. რაც შეეხება სტუდენტებს, ისინი სასწავლო კურსების, ლექტორების და ინსტიტუციური შეფასების დროს ხელს უწყობენ აქტიური როლის შესრულებას ხარისხის უზრუნველყოფის კომპლექსურ პროცესებში.

  პირად პასუხისმგებლობაზე ხაზგასმით ცხადი ხდება მოლოდინი, რომ თითოეულ ადამიანს - თავისებურად - ეკისრება პოზიტიური წვლილის შეტანა, ისე, რომ სკოლის საგანმანათლებლო პროგრამები ნებისმიერ დროს დააკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს.
- **სტრატეგიული განვითარების ხელშეწყობა.**
- **მმართველობითი პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფა.**
- **მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველყოფა.**
- **ახალი საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის პროცესის ადმინისტრირება.**
- **სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის მუდმივი განვითარება.**
- **სამეცნიერო კვლევის პროდუქტიულობის განვითარებაზე ზრუნვა**
- **ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ფუნქციონირება.**

შესაბამისად, ბაუს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები მიიღწევა შემდეგი მექანიზმების ამოქმედებითა და განხორციელებით:

- **მმართველობითი პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები**.
- **სტრატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები**.
- **ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები**.
- **მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები**.
- **სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის შეფასების პროცედურები**.
- **სამეცნიერო კვლევების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.**
- **ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები.**

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ეფექტური ფუნქციონირება განისაზღვრება მჭიდრო თანამშრომლობით სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების ამოცანები

გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის უწყვეტ ფუნქციონირებას და ხარისხის უზრუნველყოფის მთლიანი სისტემის ეფექტურ შესრულებას. თავის მხრივ, პროცედურები და მექანიზმები შესაძლოა განიმარტოს შემდეგი ძირითადი ამოცანების მიხედვით:

მმართველობითი პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების ამოცანაა სასწავლო უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა, კერძოდ, შემუშავებული ინსტიტიციური შესრულების ინდიკატორების (KPIs) პერიოდული მონიტორინგი და განვითარების უწყვეტი პროგრესის ჩვენება.

სტრატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების ამოცანაა მხარი დაუჭიროს სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიულ

განვითარებას. პირველ რიგში, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით გაწერილი პროცედურების შესრულებაში მონაწილეობითა და უმთავრესად, მიღწეული შედეგების მონიტორინგით შესრულების ინდიკატორების მიხედვით.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურების ამოცანაა ახალი საგანამანათლებლო პროგრამის ინიცირების ეტაპიდან აკრედიტაციის მიღების პროცესამდე მისდიოს პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების ფაზებს, რათა უზრუნველყოს ახალი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა და პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე შემცირება.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურების ამოცანაა სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება პროგრამაზე სწავლის სრული პერიოდის განმავლობაში. რაც მთავარია, მნიშვნელოვანი გადახრების დროს რეაგირება და პროგრამის ეფექტურ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის ან პირების ინფორმირება სასურველი მოდიფიცირებების შესახებ.

სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის შეფასების პროცედურების ამოცანაა სასწავლო პროცესის უწყვეტ განხორციელებაში წვლილის შეტანა და განხორციელების პროცესზე დაკვირვება, რათა სასწავლო პროცესის შემადგენელი ნებისმიერი კომპონენტი (ლექცია/სემინარი/პრაქტიკული/ლაბორატორიული) მიმდინარეობდეს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნების შესაბამისად, სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და ქმნიდეს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება განხორციელებულ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად და სტუდენტების უკუკავშირი.

სამეცნიერო კვლევების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოცანაა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი საქმიანობის შეფასება, განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის პროდუქტიულობის ხარისხი და მხარი დაუჭიროს მეტი და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული კვლევის განხორციელებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო

საზოგადოების დაცვა არაკეთილსინდისიერი აკადემიური ქმედებისგან. გარდა აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის უზრუნველყოფისა, ხარისხის უზრუნველყოფის აღნიშნული პროცედურები ითვალისწინებს სტუდენტების აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ კვლევით პროცესებში ჩართულობას და მათი ინდივიდუალური კვლევითი ინტერესების ხელშეწყობას, კვლევის თანაბარი ხელმისაწყვდომობის, კვლევითი წინადადებების ობიექტური და მიუკერძოებლური შეფასების, შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფას.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ამოცანაა სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე ძირითადი პროცესების საექსპერტო შეფასების განხორციელება. გარდა გეგმური საექსპერტო შეფასებისა, რომელიც ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცედურების ფარგლებში, სასწავლო უნივერსიტეტი საკუთარი რესურსებითაც უზრუნველყოფს გარე მექანიზმების ფუქნციონირებას. კერძოდ, მოიპოვებს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ადგილობრივი, თუ საერთაშორისო დარგის ექსპერტების მიერ, ასევე ჩართულია ინსტიტუციურ შეფასებებში პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (Peer review). ამ პროცესში მნიშვნელოვანია, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების გარე შეფასება.

თავი II. ხარისხის მენეჯმენტი და მმართველობითი პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მასში შემავალი მექანიზმები და პროცედურები ვრცელდება მისიის განაცხადითა და მინიჭებული უფლებით განსახორციელებელ ყველა ძირითად საქმიანობაზე.კერძოდ:

- მმართველობით პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების გადაცემაზე.
- მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის პროგრამებზე.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო კვლევებზე.
- ყველა სხვა ძირითად საქმიანობაზე, რომელიც ემსახურება სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელებას.

ხარისხის მენეჯმენტის პროცესში გარდა უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა ჩართულია მმართველი რგოლი (ვიცე რექტორი, დეკანი) და ყველა წამყვანი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის კონკრეტული კომპონენტის განხორციელება ყველა თანამშრომელს ევალება, რაც მათი სამუშაო აღწერილობებითაც დასტურდება.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა გარემოს მონაწილე ძირითადი ერთეულები

დიაგრამაზე მოყვანილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართული მმართველი რგოლი.



ხარისხის უზრუნველყოფის გარე გარემოს მონაწილე ძირითადი პირები

დიაგრამაზე მოყვანილია დაინტერესებული მხარეების წარმოამდგენლები, რომლებიც გავლენას ახდენენ სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფაზე. მაგალითისთვის, მარეგულირებელი ორგანოების მიერ შეცვლილი სტანდარტები ან/და ცვლილებები კანონში დიდ გავლენას ახდენს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაზე.



მმართველობითი პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა

მმათველობითი პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა მიმდინარეობს შემდეგი ძირითადი პროცესების განხორციელებითა და მხარდაჭერით:

- **ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორების შემოწმება**
- **ყოველ სემესტრული ანგარიშგების მხარდაჭერა**
- **მონაცემთა ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება**

მმართველობითი პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი დაფუძნებულია წინასწარ შემუშავებული სამიზნე ნიშნულების მიღწევასა და მათი შესრულების მონიტორინგის განხორციელებაზე. სამიზნე ნიშნულები გამოიხატება, როგორც ინსტიტუციური შესრულების ძირითადი ინდიკატორები და განისაზღვრება, როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმის დასრულებამდე მისაღწევი შედეგები. ინსტიტუციური შესრულების ძირითად ინდიკატორები გამოიყენება, როგორც, სტრატეგიული განვითარების, ისე მთლიანი ინსტიტუციის მუშაობის/შესრულების მონიტორინგის, ხარისხის უზრუნველყოფის და ეფექტური მმართველობის მექანიზმები. ინსტიტუციური შესრულების ძირითადი ინდიკატორები მოიცავს სტუდენტების, პერსონალის და რესურსების შეფასებას, როგორც ბაუში პროცესების მართვის ეფექტურობის განმაპირობებელი ძირითადი კომპონენტების შესწავლას.

ინსტიტუციური შესრულების დადგენილი ინდიკატორები სრულად ფარავს სასწავლო უნივერსიტეტის ყველა ძირითადი პროცესის ფუნქციონირებას, ხოლო განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები ამ პროცესების ხარისხიან შესრულებას ემსახურება.

ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორები

ბაუს ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორებს წარმოადგენს:

- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან
- აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან
- აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან
- ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან
- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან
- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან
- აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)
- ეეგ ჩარიცხული სტუდენტების თანაფარდობა გამოცხადებული ადგილების რაოდენობასთან
- ეეგ ჩარიცხული სტუდენტების საშუალო ქულა
- საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა
- საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობაში დასავლური ბაზრის წილი
- სტუდენტების შენარჩუნების მაჩვენებელი
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების GPA მაჩვენებელი
- სტუდენტების კმაყოფილება სასწავლო კურსებით
- სტუდენტების კმაყოფილება სასწავლო რესურსებით
- სტუდენტების კმაყოფილება აკადემიური და მოწვეული პერსონალით
- პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი
- მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი
- ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი
- აკადემიური პერსონალის პროცენტული რაოდენობა, რომელიც მონაწილეობს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში
- დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის პროცენტული წილი პერსონალის მთლიან რაოდენობაში
- საერთაშორისო პერსონალის პროცენტული წილი პერსონალის მთლიან რაოდენობაში
- პროფესორების საშუალო ციტირების ინდექსი (h ინდექსი)
- კვლევის ბიუჯეტის წილი მთლიან შემოსავალთან მიმართებაში

- ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტთან
- კვლევითი ბიუჯეტის თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტთან
- კურსდამთავრებულების კმაყოფილება პროგრამით
- კურსდამთავრებულების სასერთიფიკატო გამოცდების შედეგები (ადგილობრივი და უცხოური)
- კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი საერთაშორისო შრომის ბაზარზე
- დამსაქმებელთა კმაყოფილება კურსდამთავრებულებით

სამიზნე ნიშნულები თითოეული ინსტიტუციური ინდიკატორებისთვის, მისაღწევი პერიოდის მიხედვით მითითებულია ბაუს სტრატეგიული განვითარების გეგმაში. ინდიკატორისთვის მიეთითება როგორც სამიზნე ნიშნული, ასევე ფაქტობრივი მაჩვენებელი და მისაღწევი შედეგი წელის მითითებით. თითოეული ინდიკატორის შესრულებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი, აქედან გამომდინარე, KPIs მეშვეობით შესაძლებელია როგორც ინსტიტუციური განვითარების შეფასება, ასევე მმართველი რგოლისა და წამყვანი დეპარტამენტების შესრულების მონიტორინგი და ხარისხის უზრუნველყოფა.

სტრუქტურული ერთეულების მონიტორინგის და საქმიანობის შეფასების სისტემა

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასების, უკუკავშირისა და ორგანიზაციული განვითარების სისტემა მოიცავს შემდეგ ფორმებს:

1. სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის გეგმის ფორმა
2. სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ანგარიშის ფორმა
3. საქმიანობის ანგარიშის უკუკავშირის ფორმა

სამოქმედო გეგმის სემესტრულ ფორმაში განისაზღვრა შემდეგი კომპონენტები

- სტრატეგიული ამოცანები - რომელშიც თითოეული დეპარტამენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ამოცანებს, უთითებს მიმდინარე სემესტრის პერიოდში მის შესასრულებლად საჭირო ქვეამოცანებს, და მათი შესრულების სამიზნე ნიშნულს.
- ოპერაციული ამოცანები - რომლებიც ითვალისწინებს დეპარტამენტის ფუნქციების ფარგლებში შესასრულებელი მიმდინარე ამოცანების ჩამონათვალს. ბიზნესის უწყვეტობის პროცესის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა დანერგა მიმდინარე ამოცანების დაგეგმვაში დამატებითი რესურსების და სხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობის შესახებ წინასწარი ინფორმირების მექანიზმები, რაც ორგანიზაციას საშუალებას მისცემს წინასწარ გადაანაწილოს მატერიალური და ადამიანური რესურსები უკეთ, და თავიდან აირიდოს შესასრულებელი ამოცანების სიმრავლიდან თუ რესურსების შეუსაბამობიდან გამომდინარე პრობლემები. პირველად ინსტიტუციამ შემოიღო ოპერაციული ამოცანებისთვის შესრულების სამიზნე ნიშნულის მაჩვენებელი, რომელიც სამოქმედო გეგმის შესრულების ეტაპზე შედარებული იქნება ორგანიზაციის მენეჯერულ ხედვასთან, ხოლო ანგარიშგების ეტაპზე - დადარდება ფაქტობრივ მონაცემებს, რაც მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის ინსტრუმენტად იქნება გამოყენებული
- რისკების შეფასება - უნივერსიტეტმა გარდა სტრატეგიულ ამოცანებზე შემუშავებული რისკების მართვის გეგმისა, განსაზღვრა ოპერაციული ამოცანებისთვის რისკების გეგმაც, რომელთა პირველადი შეფასება უნდა განხორციელდეს დეპარტამენტის დონეზე. კერძოდ, სამოქმედო ამოცანის დასახვისას, დეპარტამენტს ევალდებულება განსაზღვროს შესაძლებელი რისკები, რისკების პრევენციის რეალისტური და მიღწევადი მექანიზმები, აგრეთვე წარმოადგინოს მოსალოდნელი სცენარი, რისკის დადგომის შემთხვევაში. აღნიშნული ინსტრუმენტი დამატებით ემსახურება ორგანიზაციის საქმიანობის სწორ დაგეგმარებას, და დეპარტამენტის დონეზე საქმიანობის სწორ და მრავალმხრივ შეფასებას.

- რეკომენდაციები - რეკომენდაციების ნაწილში დეპარტამენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს საკუთარი ხედვა საქმიანობის გასაუმჯობესებლად ორგანიზაციაში თუ მმართველი რგოლის მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რაც ემსახურება განვითარების ახალი მიმართებულებების დროულად დასახვას და აუმჯობესებს ოპერაციული რგოლის ჩართულობას ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში.

დეპარტამენტის დონეზე შემუშავებული სამოქმედო გეგმები წარედგინება შესაბამისი დეპარტამენტის სტრუქტურულ ხელმძღვანელს, რომელიც უფლებამოსილია საკუთარი უკუკავშირი წარმოადგინოს დეპარტამენტის დონეზე დასახულ სამოქმედო ამოცანებზე მიზნებზე, დამატებით მოახდინოს კონკრეტული ამოცანების პრიორეტიზირება და მიუთითოს სხვა გასათვალისწინებელ გარემოებებზე. დეპარტამენტსა და ხელმძღვანელს შორის დასახულ ამოცანებს შორის კონსენსუსის არარსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად, გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

სამოქმედო გეგმის სტრატეგიული ამოცანების ნაწილი ფასდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ და რესურსების ნაწილში-დირექტორის მიერ. სამოქმედო გეგმების ერთობლიობა გამოიყენება ორგანიზაციის სემესტრული გეგმის შესამუშავებლად.

საანგარიშო პერიოდის (სემესტრის) ბოლოს დეპარტამენტი წარმოადგენს ანგარიშს სემესტრის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შესახებ. როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერაციულ ამოცანებზე მიეთითება შესრულების ფაქტობრივი გაზომვადი მაჩვენებელი, რომელიც დარდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ნიშნულთან. სამიზნე ნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსრულებელი აღწერს ამის გამომწვევ შიდა თუ გარე მიზეზებს, რისი ანალიზის საფუძველზეც მიიღება შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილება. დეპარტამენტის მიერ დამატებით ხდება ანგარიშგება გაუთვალისწინებელი ამოცანების შესახებ, რომელთა შესრულება მას საანგარიშო პერიოდში მოუწია, შეცვლილი საჭიროებებისა და არასწორი დაგეგმვის გათვალისწინებით, რაც ასევე გამოიყენება როგორც დაგეგმვის გაუმჯობესებისა და მმართველობითი კონტროლის ინსტრუმენტი.

ანგარიშთან ერთად, დეპარტამენტი წარმოადგენს პრობლემათა ანგარიშგებას, რაც ითვალისწინებებს საქმიანობის პროცესში გაჩენილი პრობლემების, გატარებული ან წარმოდგენილი რეაგირების გზებისა და ჩართული მხარეების მითითებას. დეპარტამენტულ დონეზე პრობლემათა ანგარიშგება დამატებითი ინსტრუმენტია საქმიანობის ეფექტურობის სამომავლოდ გასაზრდელად. დეპარტამენტი დამატებით უფლებამოსილია წარმოადგინოს შეთავაზებული ცვლილებისა და აქტივობების ჩამონათვალი.

დეპარტამენტის დონეზე შემუშავებული ანგარიშები წარედგინება შესაბამისი დეპარტამენტის სტრუქტურულ ხელმძღვანელს, რომელიც უფლებამოსილია საკუთარი უკუკავშირი წარმოადგინოს შესრულებულ და შეუსრულებელ ამოცანებზე,

გაუთვალისწინებელი ამოცანების გაჩენაზე, შესრულების და შეუსრულებლობის მიზეზებზე და დასახოს სათანადო ცვლილებებისა და აქტივობების გეგმა.

ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, დეპარტამენტი იღებს უკუკავშირის ფორმას, რომელიც მოიცავს:

- ხელმძღვანელის უკუკავშირს - გამოკვეთილი ეფექტური და ნაკლებად ეფექტური მხარეების, სამომავლო აქტივობების და ცვლილებების ხედვით.
- სტრატეგიული ჯგუფის უკუკავშირს, სტრატეგიულ ამოცანების შესრულებასთან მიმართებით
- ხარისხის სამსახურის უკუკავშირს - სამსახურის მიერ განხორციელებული შიდა და გარე შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, რომელიც რელევანტურია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობისთვის.
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უკუკავშირს - მის უფლებამოსილების ფარგლებში დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულების ეფექტიანობის შეფასების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით
- სხვა უკუკავშირს - პროფესიული ეთიკის, შრომის უსაფრთხოების, შესრულების ვადებისა და სამართლებრივი რეგულაციების, შრომის შინაგანაწესისა და უნივერსიტეტის კორპორატიული კულტურის დაცვის ნაწილებთან მიმართებით.

უკუკავშირების საფუძველზე, უკუკავშირის გაცემაზე პასუხისმეგელი ყველა სტრუქტურული ერთეული განსაზღრავს შეთავაზებულ აქტივობებს სამომავლო პერიოდისთვის, ამ აქტივობების იმპლემენტაციის პერიოდსა და შესაბამის სამიზნე ნიშნულს, რომელზეც გასვლა მიზანშეწონილია შესაბამისი აქტივობის შესრულების შედეგად. უკუკავშირი წარედგინება დეპარტამენტს და გათვალისწინებული უნდა იყოს სამომავლო საქმიანობის პროცესში. ანგარიშების ერთობლიობა გამოიყენება ერთიანი ინსტიტუციური ანგარიშის შესამუშავებლად.

ყოველი სემესტრის დასაწყისში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები რექტორს წარუდგენენ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის გეგმას, რომელზეც მიიღებენ უკუკავშირს და განისაზღვრება მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და შეფასებისთვის რელევანტური სამიზნე ნიშნულები. რექტორის ხელმძღვანელობით დადგინდება თითოეული სტრუქტურული ერთეული საქმიანობის გეგმის რელევანტურობა საერთო ინსტიტუციურ სტარტეგიასა და სამოქმედო გეგმასთან. შესაბამისად, სემესტრის ბოლოს ყველა სტრუქტურულ ერთეულს აქვს ვალდებულება რექტორის მიერ დამტკიცებული საქმიანობის გეგმის თანახმად საქმიანობის ანგარიშის თვითშეფასების ფორმა შეავსოს და წარადგინოს იგი მმართველი რგოლის წარმომადგენლებთან, რაზეც მომზადდება უშუალო ხელმძღვანელის მიერ საქმიანობის ანგარიშზე უკუკავშირი. შეფასდება საქმიანობიდან გადაცდენის მიზეზები და სხვა გასაუმჯობესებელი მხარეები. აღნიშნული მიგნებები გაიწერება საერთო ინსტიტუციურ ანგარიშში და შესაძლოა გავლენა მოახდინოს სამოქმედო გეგმაზეც. აღნიშული პროცესის შეუფერხებლად

წარმართვაზე პასუხისმგებელი იქნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა

მართვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მმართველი რგოლი განახორციელებს შემდეგი ძირითადი პროცესების მონიტორინგს:



ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორები ე.წ KPIs მიღწევის წლიური მონიტორინგი

სწორედ, რაოდენობრივ მონაცემებად განიხილება ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორები (KPIs). კერძოდ, დეპარტამენტების/სამსახურის უფროსებისგან მიღებული რაოდენობრივი ინდიკატორების მეშვეობით ხარისხის უზრუბველყოფის სამსახური მოამზადებს წლიურ ანგარიშს ინსტიტუციური შესრულების შესახებ.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი

ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორების გარდა, ხორციელდება სტრატეგიული განვითარების გეგმისა და მასში განსაზღვრული ამოცანების შესრულების მონიტორინგი, რომელიც სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების ჩართულობით. მონიტორინგის პროცესში საჭიროებისამებრ, ასევე, მიიღებენ მონაწილეობას სტრატეგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ან პირები. ეს შესაძლოა იყოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ან დეკანი.

სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი

განახლებული შეფასების სისტემის შესაბამისად, ყოველის სემესტრის ბოლოს სტრუქტურული ერთეულები თავიანთ ხელმძღვანელს წარუდგენენ წინასწარ შემუშავებული საქმიანობის გეგმის ანგარიშს, რომელიც ხდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ინდიკატორი.

მართვის ეფექტიანობის შეფასების წყაროები

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისთვის გამოიყენება რაოდენობრივ მონაცემებთან შემდეგი თვისებრივი მონაცემები:

- მმართველი რგოლის გამოკითვა/ინტერვიუ
- პერსონალის გამოკითვა/ინტერვიუ
- სტუდენტების გამოკითხვა/ინტრევიუ

აღნიშნული დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ანალიზი ცხადყოფს, როგორც მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს, ასევე მათ კმაყოფილებას ორგანიზაციის ფუქნციონირებასთან დაკავშირებით.

უფლება-მოვალეობების ფარგლებში, თვისებრივი მონაცემების შეგროვებას და გაანალიზებას ახორციელებენ ადამიანური რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც ვიცე რექტორთან ანგარიშის წარგენის შემდგომ ამზადებენ რეკომენდაციებს მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების შესახებ.

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის შესახებ საბოლოო ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი იქნება სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კერძოდ, მოგროვილი ინფორმაციისა და როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების საფუძველზე, იგი მოამზადებს ერთიან ანგარიშს, რომელსაც განიხილავს რექტორისა და აკადემიურ საბჭოს წინაშე.

თავი III. სტრატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავება უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრის მაქსიმალური ჩართულობით.

სტრატეგიის პროექტი შემუშავებულია სტრატეგიის განვითარების ჯგუფის მიერ, უნივერისტეტის ვიცე-რექტორის, დეკანის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფესორებისა და სტუდენტების შემადგენლობით.

სტრატეგიული განვითარების ამოცანების განსაზღვრა ხორციელდება მტკიცებულებების საფუძველზე

ინფორმაციის წყაროები:
მისიის განაცხადი
უნივერსიტეტის **ხედვა**
წინა პერიოდის **სტრატეგიული გეგმა**
საგანმანათლებლო **პროგრამები**
ორგანიზაციის **სტრუქტურა**
უნივერსიტეტის **ბიუჯეტი**
SWOT (სიტუაციური ანალიზის) მატრიცა
კმაყოფილების მაჩვენებლები კვლევის მონაცემებით
შრომის ბაზრის კვლევის მიგნებები
უნივერსიტეტის **სამიზნე ნიშნულები**
KPI მაჩვენებლები
ანგარიშები სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე
რეკომენდაციები გარე შემფასებელთაგან

სტრატეგიის პროექტი შემოწმებული და დადასტურებულია სტრატეგიის მიღების ჯგუფის მიერ, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორის, სტუდენტის, დამსაქმებელის და გარე ექსპერტის შემადგენლობით.

სტრატეგიის განხორციელების შეფასებისთვის შექმნილია სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფი, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის,

პროფესორის, სტუდენტის და სტრატეგიის შემუშავების ჯგუფის ერთი წევრის შემადგენლობით.

სტრატეგიული განვითარების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ძირითადად გამოხატულია მონიტორინგის ეტაპზე, როდესაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მიღწევის ინდიკატორების მეშვეობით ახორციელებს ინსტიტუციური განვითარების პროგრესის შეფასებას.

სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფი

დიაგრამიდან ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვა ჩართულ მხარებთან ერთად პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შეფასებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის კომპონენტი პროცესში გამოიხატება, ხარისხის სამსახურის როგორც ერთ-ერთი მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს წარმოდგენით, ასევე, ინსტიტუციური სამიზნე ნიშნულების შემუშავებაში აქტიური ჩართულობით.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები:

1. მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი სტრატეგიის განვითარების პროცესისთვის
2. სასწავლო უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე მასზე მორგებული სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მონიტორინგი
3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი დასახული სამიზნე ნიშნულების გამოყენებით
4. მონიტორინგის შემდგომი განმავითარებელი რეკომენდაციები შემუშავება და სტრატეგიული განვითარების ახალ გეგმაში გათვალისწინება.

თავი IV. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები და პროცედურები

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ხედვა

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებადი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან, ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, აბიტურიენტის, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოლოდინებს, საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნებსა და სამეცნიერო მიღწევების აქტუალურ კონტექსტს.

ხარისხის შეფასების პროცედურა ორიენტირებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და სისტემაში ჩართული პერსონალის (აკადემიური თუ ადმინისტრაციული) განვითარებაზე, ჩართულობით და თანამშრომლობის როლის მუდმივი ზრდით.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა დაფუძნებულია (PDCA) ციკლზე (დაგეგვმა, განორციელება, შემოწმება, განვითარება).
ერთი ციკლის დასრულებისთანავე ხორციელდება უწყვეტი განვითარების პოლიტიკის შემუშავება (Continuous Improvement), ისე, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მუდმივი განვითარების პროცესშია.



ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი ციკლის განხორციელება მნიშვნელოვანია როგორც ახლად შემუშავებული პროგრამების შეფასების, ასევე მოქმედი პროგრამების განახლების, სასწავლო პროცესის შეფასების შედეგად გამოვლენილ მიგნებებთან და გასაუმჯობესებელ მხარეებთან თუ შეცვლილ მოთხოვნებთან მისადაგების პროცესში.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავების და დამტკიცების პროცედურა

<u>პროცედურის აღწერა</u>

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა შედგება სამი ფაზისაგან;

- საგანმანათლებლო პროგრამის იდეის ინიცირების ფაზა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხილვის ფაზა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ფაზა.



ახალი საგანმანათლებლო პროგრამის იდეის ინიცირების დროს, სკოლის საბჭოს წარედგინება ინფორმაცია მოცემული სფეროს შესახებ, ასევე იდეის განხილვის ეტაპზე შესაძლებელია ჩართული იქნას საუნივერსიტეტო რესურსების, შრომის ბაზრისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა ანალიზში, რათა პროგრამის იდეა სამუშაო გეგმად გადაქცევამდე კორექტირებულ იქნას არსებული კონტექსტის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების სუბიექტი

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიციატორი შესაძლებელია იყოს უნივერსიტეტის აკადემიური/ სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, საქართველოსა და უცხოური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (ერთობლივი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში) და სხვა დაინტერესებული მხარეების (საჯარო, კერძო, არასამთავრობო და პროფესიული ორგანიზაციები/ასოციაციები) მონაწილეობით.

საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატივის განხილვა

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაცია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე წარედგინება შესაბამისი სკოლის საბჭოს.
იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი საგანმანათლებლო მიმართულების განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული უნივერსიტეტში პროგრამის ინიცირების მომენტისათვის არ ფუნქციონირებს, საინიციატივო წინადადება წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც საკითხის განხილვის დროს იხილავს ასევე ახალი საგანმანათლებლო ერთეულის შექმნის საკითხსაც.

სკოლის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით და გამოაქვს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

- დადებითი გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების თაობაზე
- უარყოფითი გადაწყვეტილება, პროგრამის შემუშავებაზე უარის თქმის შესახებ
- შუალედური გადაწყვეტილება - რომლის დროსაც ინიციატივის წარმდგენი ვალდებულია წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები პროგრამის აქტუალობის, კონკურენტუნარიანობის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დასადასტურებლად, რაც აუცილებელია საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

სკოლის საბჭოს დადებითი შეფასების შემდეგ იწყება პროგრამის შემუშავება, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში არგუმენტირებულად უდასტურდება ახალი პროგრამის ინიციატორს დაწუნების მიზეზი.

ჩარჩო მოთხოვნები ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადის მიმართ:

1. განაცხადის შინარსი და პროგრამის კონცეფცია ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული დასახული მიზნებისა და მოსალოდნელ სწავლის შედეგების მიღწევაზე.
2. პროგრამის დასრულების შედეგად მისაღები კვალიფიკაცია მკაფიოდ განსაზღვრულია. პროგრამაში სწორად არის მითითებული კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს დონე და სწავლის შედეგები შესაბამისი იქნება ამ დონის შესატყვისი კომპეტენციებით.
3. საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში მოდის უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიებთან, დასაბუთებულია ახალი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროება და აქტუალურობა, რომელიც გამომდინარეობს სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმიდან.
4. პროგრამის შემუშავებაში უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და გათვალისიწნებულია მათი პოზიცია; - სახელმწიფოს ინტერესი, შრომის ბაზარი, პოტენციური დამსაქმებლისა და აბიტურიენტების დაინტერესება დარგის/სპეციალობის განვითარებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, კურიკულუმის სამუშაო ჯგუფი

დადებით გადაწყვეტილებასთან ერთად სკოლის საბჭო თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს. საჭიროების შემთხვევაში პროგრამას შეიძლება დაენიშნოს ერთზე მეტი ხელმძღვანელი, ასევე, ინიცირებული პროგრამის განვითარების ფაზების სრულყოფილად განხორციელების მიზნით შესაძლებელია შეიქმნას კურიკულუმის ჯგუფი, აკადემიური პერსონალის და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროექტის ინიცირების, შემუშავების და დამტკიცების პროცედურა

<u>პროცედურის აღწერა</u>

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა შედგება სამი ფაზისაგან;

- საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროექტის ინიცირების ფაზა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული რედაქციის შემუშავებისა და განხილვის ფაზა;
- საგანმანათლებლო პროგრამის ახალი რედაქციით დამტკიცების ფაზა.



მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროექტის ინიცირება შესაძლებელია პროგრამის შიდა ან გარე შეფასების შედეგებზე, საკანონმდებლო მოთხოვნების, სფეროს აკადემიური კონტექსტის ცვლილების, კონკურენტული საბაზრო მდგომარეობის ცვლილებების საპასუხოდ.

მოდიფიცირების იდეის ინიცირების დროს, სკოლის საბჭოს წარედგინება ინფორმაცია იმ სფეროს მდგომარეობის შესახებ, რამაც განაპირობა პროგრამის რედაქციაში მნიშვნელოვანი ცვლილებების საჭიროება.

მოდიფცირების იდეის განხილვის ეტაპზე შესაძლებელია ჩართული იქნას საუნივერსიტეტო რესურსების, შრომის ბაზრისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა ანალიზში, რათა პროგრამის იდეა სამუშაო გეგმად გადაქცევამდე კორექტირებულ იქნას არსებული კონტექსტის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფცირების ინიცირების სუბიექტი

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფცირების ინიციატორი შესაძლებელია იყოს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ან სკოლის საბჭო პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ხელმძღვანელი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას პროგრამის მოდიფიცირების საკითხის წამოყენებისას, მოდიფიცირების საკითხს აყენებს შესაბამისი სკოლის დეკანი და წყვეტს აკადემიური საბჭო. ამ შემთხვევაში დამატებით აუცილებელია პროგრამის ახალი ხელმძღვანელის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურის დამტკიცება.

საჭიროების შემთხვევაში პროგრამას შეიძლება დაენიშნოს ერთზე მეტი ხელმძღვანელი, ან არსებულ ხელმძღვანელს დაემატოს ახალი თანახელმძღვანელი.

პროგრამის მოდიფცირების სრულყოფილად განხორციელების მიზნით შესაძლებელია შეიქმნას კურიკულუმის ჯგუფი, აკადემიური პერსონალის და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

ჩარჩო მოთხოვნები ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადის მიმართ:

1. პროგრამის მოდიფცირებული კონცეფცია ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული დასახული მიზნებისა და მოსალოდნელ სწავლის შედეგების მიღწევაზე, არსებულ რედაქციის მიზნებსა და შედეგებში ცვლილებები დასაბუთებულია შიდა/გარე შეფასების შედეგებზე, შრომისა თუ განათლების ბაზრის ან/და დარგის სამეცნიერო კონტექსტზე დაყრდნობით.
2. პროგრამის დასრულების შედეგად მისაღები კვალიფიკაცია მკაფიოდ განსაზღვრულია. პროგრამაში სწორად არის მითითებული კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს დონე და სწავლის შედეგები შესაბამისი იქნება ამ დონის შესატყვისი კომპეტენციებით.
3. საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში მოდის უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიებთან, დასაბუთებულია მისი განახლების

საჭიროება და აქტუალურობა რომელიც არ ეწინააღმდეგება სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებს.

4. პროგრამის მოდიფცირების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და გათვალისიწნებული იქნება მათი პოზიცია, სახელმწიფოს ინტერესი, შრომის ბაზარი, პოტენციური დამსაქმებლისა და აბიტურიენტების დაინტერესება დარგის/სპეციალობის განვითარებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავებისა და განხილვის ფაზა

ახალი და მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება ამ თავში მოყვანილი წესების შესაბამისად.

პროგრამის შემუშავებას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციაზე, რაც უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

1. პროგრამის განხორციელების აქტუალურობის შეფასება უნივერსიტეტის, ქალაქის, რეგიონისა და ქვეყნის ჭრილში;
2. SWOT ანალიზი;
3. პროგრამის კურიკულუმი;
4. სასწავლო კურსების სილაბუსები;
5. ინფორმაცია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შესახებ (CV, სამეცნიერო სტატიების ჩამონათვალი და სხვა მონაცემები);
6. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი საბიბლიოთეკო ფონდის ხელმისაწვდომობის შეფასება (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დადასტურება, რომ ლიტერატურა, რომელიც მითითებულია სილაბუსებში, წარმოდგენილია საბიბლიოთეკო ფონდში, ან ამ ლიტერატურასთან წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებით);
7. პროგრამის ფინანსური მდგრადობის დასაბუთება;
8. დაინტერესებული პირების (აკადემიური პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, არსებობის შემთხვევაში - სტუდენტები და კურსდამთავრებულები, და სხვ.) ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაცია;

9. პოტენციური დამსაქმებების გამოკითხვისა ან ბაზრის მოთხოვნის ანალიზი;
10. სხვა დოკუმენტაცია, რომელსაც ჩათვლის საჭიროდ სამუშაო ჯგუფი.

დამატებით, არსებული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას, საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს იმ ფაქტორებზე რეაგირების აღწერას, რამაც განაპირობეს პროგრამის მოდიფცირების საჭიროება.

პროგრამის პროექტის თვითშეფასების ფორმის კომპონენტები

ფორმის კომპონენტები	კომპონენტის შეფასების ინდიკატორები
პროგრამის განაცხადის შინარსი	ორიენტირებულია დასახული მიზნებისა და მოსალოდნელ სწავლის შედეგების მიღწევაზე.
მისაღები კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია მკაფიოდ განსაზღვრულია. სწავლის შედეგები აღწერილია შესატყვისი კომპეტენციებით.
პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიებთან	პროგრამის საჭიროება გამომდინარეობს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმიდან.
დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	ნაჩვენებია პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა
საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალურობა და მნიშვნელობა უნივერსიტეტისათვის, რეგიონისათვის და ქვეყნისთვის	საგანმანათლებლო პროგრამია აქტუალურია უნივერსიტეტისათვის, და მნიშვნელოვანია ქალაქისთვის, რეგიონისათვის და ქვეყნისთვის;
პროგრამის წარმდგენის (პროგრამის ხელმძღვანელის) კანდიდატურა	პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური/პროფესიული გამოცდილება და ხედვა იძლევა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პერსპექტივას
პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის დონე	პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის დონე მაღალია, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის მიმართულებით
პოტენციური სტუდენტების დასაქმების პერსპექტივები	დასაბუთებულია პოტენციური სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივები;
პროგრამის ადამიანური რესურსები	პროგრამის ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია, გამოცდილება და რაოდენობა საშუალებას იძლევა პროგრამის მდგრადი განხორციელებისათვის
პროგრამის ინფრასტრუქტურული რესურსები	პროგრამის ინფრასტრუქტურული რესურსები საკმარისია პროგრამით გათვალისიწნებული სწავლის შედეგების მისაღწევად
პროგრამის განხორციელებისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	

საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავების ფაზა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს და პროგრამის სამუშაო ჯგუფის ან/და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი პროგრამის პროექტის თვითშეფასების ფორმას. დოკუმენტაციის შესაბამისობის და პროგრამის გამართულობის შემთხვევაში ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის წერს დასკვნას და პროგრამის პაკეტს განსახილველად წარუდგენს სკოლის საბჭოს.

პროგრამის პროექტის ხარისხის სამსახურის მიერ შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმები	**შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**შეუსაბამოა**
პროგრამის განაცხადის შინარსი	ორიენტირებულია დასახული მიზნებისა და მოსალოდნელ სწავლის შედეგების მიღწევაზე.	პროგრამის განაცხადი საჭიროებს დახვეწას	პროგრამის განაცხადი გაურკვეველი და ბუნდოვანია
მისაღები კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია მკაფიოდ განსაზღვრულია. სწავლის შედეგები აღწერილია შესატყვისი კომპეტენციებით.	კვალიფიკაცია მკაფიოდ განსაზღვრულია. სწავლის შედეგები აღწერილა საჭიროებს მოდიფიცირებას	კვალიფიკაცია არ არის მკაფიოდ განსაზღვრული
პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიებთან	პროგრამის საჭიროება გამომდინარეობს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმიდან.	პროგრამა აქტუალურია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების კონტექსტში	პროგრამა არ არის შესაბამისი უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებისა
დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	ნაჩვენებია პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	პროგრამის შემუშავებაში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების ხედვა	პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მწირია ან არ იკვეთება
საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალურობა და მნიშვნელობა უნივერსიტეტისათვის, რეგიონისათვის და ქვეყნისთვის	საგანმანათლებლო პროგრამია აქტუალურია უნივერსიტეტისათვის, და მნიშვნელოვანია ქალაქისთვის, რეგიონისათვის და ქვეყნისთვის;	საგანმანათლებლო პროგრამია აქტუალურია უნივერსიტეტისათვის,	საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალურობა არ იკვეთება
პროგრამის წარმდგენის (პროგრამის ხელმძღვანელის) კანდიდატურას	პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური/პროფესიული გამოცდილება და ხედვა იძლევა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პერსპექტივას	პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური/პროფესიული გამოცდილება და ხედვა იძლევა პროგრამის შემუშავების პერსპექტივას, რიგი კორექტირებებით პროგრამის განვითარების მიმართულებით	პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური/პროფესიული გამოცდილება არ იძლევა პროგრამის შემუშავების პერსპექტივას
პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის დონე	პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის დონე მაღალია, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის მიმართულებით	პოტენციური დამსაქმებლები ჩართული არიან პროგრამაში შემუშავების ან სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის მიმართულებით	პოტენციური დამსაქმებლების პროგრამაში ჩართულობის დონე მწირია ან არ არის
პოტენციური სტუდენტების დასაქმების პერსპექტივები	დასაბუთებულია პოტენციური სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივები;	არსებობს პოტენციური სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივები;	პოტენციური სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივები ბუნდოვანია
პროგრამის ადამიანური რესურსები	პროგრამის ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია, გამოცდილება და რაოდენობა საშუალებას იძლევა პროგრამის მდგრადი განხორციელებისათვის	პროგრამის ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია, იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას, პროგრამის	პროგრამის ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია, გამოცდილება და რაოდენობა არ იძლევა

		მდგრადობისათვის რესურსების მომავალში დამატების პირობით	საშუალებას პროგრამის განხორციელებისათვის
პროგრამის ინფრასტრუქტურული რესურსები	პროგრამის ინფრასტრუქტურული რესურსები საკმარისია პროგრამით გათვალისიწნებული სწავლის შედეგების მისაღწევად	პროგრამის ინფრასტრუქტურული რესურსები მეტწილად საკმარისია პროგრამით გათვალისიწნებული სწავლის შედეგების მისაღწევად, დამატებითი რესურსების მოძიების გზები ნათლად არის ჩამოყალიბებული	პროგრამის ინფრასტრუქტურული რესურსები არ არის საკმარისი პროგრამით გათვალისიწნებული სწავლის შედეგების მისაღწევად,
პროგრამის განხორციელებისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები			

ხარისხის დასკვნა უნდა შეიცავდეს თითოეული აღნიშნული პარამეტრის შეფასებას რამდენიმე კომპონენტში (სრულად ან მეტწილად შეესაბამება, ან არ შეესაბამება) და შესაძლებელია შეიცავდეს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული პარამეტრის გაუმχობესების თაობაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების დროს, დამატებით მხედველობაში მიიღება პროგრამის შესაბამისობა შემდეგ დოკუმენტებთან:

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტები;
3. კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო და (არსებობის შემთხვევაში) დარგობრივი მახასიათებელი;
4. სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი და პროგრამის განხორციელების შესახებ არსებული სხვა სამართლებრივი აქტები.

მოქმედი პროგრამის განახლებული რედაქციის შეფასების დროს, დამატებით მხედველობაში მიიღება შემდეგი ინფორმაციის წყაროები:

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
6. შიდა შეფასებების შედეგები და მიღებული მიგნებები
7. პროგრამის გარე შეფასების შედეგები და მიღებული რეკომენდაციები

შეფასების განხილვის წესი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა წარედგინება სკოლის საბჭოს პროგრამის პროექტთან ერთად.

სკოლის საბჭო უფლებამოსილია გაიზიაროს პროგრამის ხელმძღვანელის არგუმენტები და არ გაიზიაროს ხარისხის დასკვნაში მოყვანილი უარყოფითი შეფასება.

სკოლის საბჭო განიხილავს და აფასებს წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საკვანძო პარამეტრებსა და აღნიშნული პარამეტრების შეფასების შედეგებზე წარმოდგენილ ხარისხის სამსახურის დასკვნას.

სკოლის საბჭო უფლებამოსილია გაიზიაროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები, ასევე წამოაყენოს დამატებითი მოსაზრებები კონკრეტული პარამეტრის გაუმჯობესების თაობაზე.

სკოლის საბჭოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში ახალი საგანმანათლებლო პროგრამა წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

პროგრამის დამტკიცება

წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის დამტკიცების შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მსჯელობს ღია სხდომაზე.

აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად პროგრამის პროექტზე ძირითადი მოთხოვნებია:

- ახალი პროგრამა შესაბამისობაში მოდის სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიასთან.
- წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, როგორც უნივერსიტეტის შიდა, ასევე გარე ფაქტორების ზეგავლენით (წარმოდგენილია პროგრამის SWOT ანალიზი);

- წარმოდგენილი პროგრამა მორგებულია უნივერსიტეტის არსებულ აკადემიურ და ადმინისტრაციულ რესურსებზე ან პროგრამის პროექტი ითვალისწინებს მისი განსახორციელებისთვის საჭირო ახალ რესურს(ებ)ს;
- პროგრამასთან ერთად წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა პროგრამის შეფასების თაობაზე და სკოლის საბჭოს სხდომის საოქმო ამონაწერი პროგრამის განხილვის შესახებ.
- წარმოდგენილია ხედვები ხარისხის სამსახურისა და სკოლის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის დატკიცება ხდება აკადემიური საბჭოს მიერ. დადებითი შეფასების შემთხვევაში აკადემიური საბჭო ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მოტივირებულ (დასაბუთებულ) პასუხს უგზავნის სკოლის საბჭოს.

პროგრამის შეფასების შედეგებზე რეაგირება

აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების შემდეგ ახალი საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცედურა ხორციელდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებზე გავლენის მქონე ცვლილებები, დამტკიცების მერე აკრედიტაციას/ანგარიშგებას ექვემდებარება აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრული წესით.

პროგრამის აკრედიტაციის შედეგები

აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში პროგრამის შეფასების ფაზა ითვლება შესრულებულად.

აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში სკოლის საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, განიხილავს პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს რეკომენდაციებს და შეიმუშავებს წინადადებას რეკომენდაციების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე.

რეკომენდაციები, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მათი შესრულების თაობაზე, აისახება პროგრამის განვითარების გეგმაში.

რეკომენდაციები, რომელთა შეუსრულებლობა გადაწყვეტილ იქნა მიზანშეუწონლობის/შეუძლებლობის მოტივით, უნდა დასაბუთდეს. გადაწყვეტილებას რეკომენდაციების შესახებ ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

აკრედიტაციის ვერ მიღების შემთხვევაში სკოლის საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, განიხილავს პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს მოსაზრებებს და აყენებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) გადაწყვეტილებას პროგრამის განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე

ბ) გადაწყვეტილებას აპელაციის თაობაზე

გ) გადაწყვეტილებას პროგრამის გადამუშავების თაობაზე

ამ მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის სამსახურთან ერთად ამზადებს დასაბუთებულ პოზიციას, ექსპერტთა დასკვნაში და საბჭოს ოქმში მოყვანილ შეფასებებთან დაკავშირებით. საბჭოს გადაწყვეტილების აპელაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით

ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს პროგრამის მოდიფიცირებულ პროექტს, რომლის განხილვა, ხარისხის უზრუნველყოფის დასკვნასთან ერთად, ხდება ამ თავით გათვალისიწნებული პროცედურით. ამ შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა, დამატებით, აუცილებლად უნდა მოიცავდეს იმ საკითხების შეფასებას, რომელზედაც საუბარი იყო ექსპერტთა დასკვნაში და საბჭოს შეფასებებში.

თავი V. სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის შეფასების პროცედურები მექანიზმები

პროცედურის აღწერა

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების პროცედურის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც პირდაპირპროპორციულია სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და მიზანთან და საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები.

სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შეფასების ფაზა ციკლურია, მოიცავს PDCA ციკლს, რომელიც გულისხმობს: სასწავლო პროცესის ორგანიზება/ განხორციელება/ მონიტორინგსა და რეკომენდაციებს/დანერგვას.

PDCA ციკლი

სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასების პროცედურები

N	**შეფასების პროცედურა**	**შემფასებელი**	**წყარო(ები)**	**პერიოდულობა**	**ინსტრუმენტ(ებ)ი**
1	სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება	სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ლექციებზე დასწრება სტუდენტების უკუკავშირი	სემესტრულად სემესტრულად	დასწრების ანგარიში კითხვარი ფოკუს ჯგუფი
2	სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება	სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ლექციებზე დასწრება სტუდენტების უკუკავშირი	სემესტრულად სემესტრულად	შეფასების ანგარიში კითხვარი ფოკუს ჯგუფი
3	სწავლის შედეგების შეფასება	პერსონალი (პირდაპირი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (არაპირდაპირი)	სტუდენტთა შეფასების შედეგები სტუდენტების დამსაქმებელთა აკადემიური კორპუსის უკუკავშირი	სემესტრულად	შეფასების ანგარიში კითხვარი ფოკუს ჯგუფი
4	სტუდენტთა მიღწევების და აკადემიური პროგრესის შეფასება	სკოლა	სტუდენტთა მოსწრების შეფასება	სემესტრულად	მოსწრების ანგარიში
5	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შეფასება	ხარისხის უზრუნველყოფი სამსახური	სტუდენტთა, პერსონალის კმაყოფილების შეფასება	წლიურად წლიურად	კითხვარი კითხვარი

მონიტორინგი

სასწავლო პროცესის მონიტორინგი

დამტკიცებული სასწავლო ცხრილების მიხედვით ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების ყოველდღიური აღრიცხვა ხდება სკოლის მიერ, ყველა ლექციის/პრაქტიკულის/ლაბორატორიული მეცადინეობის/კლინიკური პრაქტიკის დაწყებიდან პირველი 10 წთ განმავლობაში შესაბამისი ფორმის შევსების საფუძველზე. 20 და მეტი წუთის დაგვიანების შემთხვევაში ლექცია/პრაქტიკული/ლაბ.მეცადინეობა/კლ.პრაქტიკა ითვლება ჩაშლილად და ლექტორი ვალდებულია აღადგინოს გაცდენილი საათი.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმა								
	სკოლა	პროგრამა	სასწავლო კურსი	პედაგოგი	ლექცია/პრაქტიკული/ ლაბ.მუშაობა/ კლ.პრატიკა	სემესტრი	საათი	ხელმოწერა

გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი

გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი აკვირდება გამოცდების მიმდინარეობას და ხარვეზების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ერთად შეიმუშავებს გასაუმჯობესებელ რეკომედაციებს.

სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასება

წარმოადგენს ყოველსემესტრულ ანგარიშს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებულ სასწავლო პროცესზე დაკვირებისა და შეფასების შედეგად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები მიხედვით ამოწმებს სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს და ამზადებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების ძირითად კრიტერიუმებს მიეკუთვნება ორგანიზებულობა, ეთიკა, დისციპლინა, ლექციაზე სტუდენტების ჩართულობა, სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები და ელექტრონული სწავლების საშუალებები.

კრიტერიუმები მტკიცდება (ახლდება) აკადემიური საბჭოს მიერ. შეფასება ხდება 4 ქულიანი სისტემით სადაც „0“ ნიშნავს ძალიან ცუდს, ხოლო „4“ შესანიშნავს (დანართი)

პროგრამის ხელმძღვანელის შეფასება

პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის განვითარებაში ჩართულობის შეფასებას. იგი, ასევე, აფასებს პერსონალის მიერ განხორციელებული სასწავლო კომპონენტების შინაარსობრივ მხარეს, თუ რამდენად შეესაბამება ისინი სილაბუსში გაწერილ თემატიკას.

პროგრამის ხელმძღვანელი ლექციიაზე დასწრების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით აფასებს სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს. შეფასების კრიტერიუმებს მიეკუთვნება ლექციის მიზნები, ლექციის შინაარსის შესაბამისობა სილაბუსთან, ლექციის ახსნისა და გადაცემის უნარი, ინტერაქტიულობა, სფეროს სრულყოფილი ცოდნა, სწავლება-სწავლის მეთოდების ადეკვატურობა სწავლის შედეგებთან მიმართებაში და დროის მენეჯმენტი.

კრიტერიუმები მტკიცდება (ახლდება) აკადემიური საბჭოს მიერ. შეფასება ხდება 4 ქულიანი სისტემით სადაც „0“ ნიშნავს ძალიან ცუდს, ხოლო „4“ შესანიშნავს (დანართი)

კოლეგიალური ურთიერთდასწრება

კოლეგიალური ურთიერთდასწრების მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალს შორის იდეებისა და გამოცდილებების გაზიარება.

სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე იქმნება ურთიერთდასწრების გუნდი, გუნდის წევრები არიან სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პირები, ხოლო ხელმძღვანელი არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

კოლეგიალური ურთიერთდასწრების გუნდის მიერ ხდება ურთიერთდასწრების გრაფიკისა და მეცადინეობის შეფასების კრიტერიუმების/ ინდიკატორების შედგენა, რომლის საშუალებითაც ხდება ლექციის/პრაქტიკულის/ლაბორატორიული მეცადინეობების შეფასება.

ინდიკატორები მტკიცდება (ახლდება) აკადემიური საბჭოს მიერ. შეფასება ხდება 4 ქულიანი სისტემით სადაც „0“ ნიშნავს ძალიან ცუდს, ხოლო „4“ შესანიშნავს (დანართი)

სტუდენტების შეფასება

ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები ავსებენ ლექტორებით კმაყოფილების კითხვარს აფასებენ კონრეტულ სემესტრში სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს, რომელსაც ამუშავებს და აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სტუდენტების მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს: პუნქტუალობა, ორგანიზაციული უნარები, ინგლისური ენის ფლობის კომპეტენცია ლექციის ახსნის პროცესში, ლექციის ახსნის უნარი, აკადემიური იერსახე, ინტერაქცია აუდიტორიასთან, კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემით უნარი, ობიექტური შეფასების სისტემა და სხვა.

რეკომენდაციები და რეაგირება

ლექციაზე დასწრების შემდეგ მოხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა კოლეგების შეფასებებზე განმავითარებელი რეკომედაციების შემუშავება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც ეგზავნება პერსონალს და საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი განხილვა.

ლექციაზე დასწრებიდან გამომდინარე არსებული პრობლემების აღმოფხვრაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის რეგულირებაში ჩართულ პირებთან ერთად ხელს უწყობს რეკომენდაციების დანერგვის პროცესს შემდგომი განვითარების მიზნით და შესაბამის სამსახურს (პიროვნებას) აძლევს გონივრულ ვადას რეკომენდაციების გასათვალისწინებლად და მიღებული შენიშვნების გამოსასწორებლად.

სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება

სასწავლო კურსების განოხრიციელების შეფასება ხორციელდება სტუდენტური გამოკითხვის მეშვეობით. ყოველის სემესტრის ბოლოს სტუდენტები ავსებენ კითხვარს, რომლის მეშვეობითაც აფასებენ სასწავლო კურსის სირთულეს, ლიტერატურით კმაყოფილებას, საკონტაქტო და დამოუკიდებელი აკადემიური დატვირთვის შესაბამისობას სასწავლო კურსისთვის მინიჭებულ კრედიტთან მიმართებით.

სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსის შეფასების შემაჯამებელი ანგარიში თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებით აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნაში, რომელიც წარედგინება სკოლის საბჭოსა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, ხოლო შემდგომ, შემუშავებულ სამოქმედო გეგმასთან ერთად - უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი, კურსის პირველად განხორციელების შემდეგ, ასევე არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ, ადგენს სასწავლო კურსის განხორციელების შეფასების ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კურსის სტატუსის, მოცულობის, გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდებით კმაყოფილებისა და საკმარისობის შესახებ.

სასწავლო კურსების განხორციელებისთვის შესაბამისი რესურსების არსებობა, სტუდენტთა ან/და სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის რესურსებით კმაყოფილება, შესაძლებელია განხორციელდეს ცალკე, ან სასწავლო კურსის შეფასებასთან ერთად.

სწავლის შედეგების შეფასება

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მეშვეობით. სწავლის შედეგების შესაფასებლად უნივერსიტეტი იყენებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს.

პირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმოს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების შეფასებას.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტის თვითშეფასების ანალიზს, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასებას, გარე შეფასებას (დარგის სპეციალისტის მიერ შეფასება), კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლის და სხვა მიღწევის მაჩვენებლებს.

სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებთან მიმართებით სამიზნე ნიშნულები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის

შემდეგ უნივერსიტეტი ამზადებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშს, რომლის საფუძველზეც მოხდება პროგრამის მოდიფიცირება. ხორციელდება მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება-ანალიზი იმისა თუ რამდენად მიაღწიეს სწავლის შედეგებს სტუდენტებმა.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი

<u>მონიტორინგის პროცედურის მიზანი</u>

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების პროცედურის მიზანია მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიკვეთოს საგანმანათლებლო პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების ხარისხი, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მომზადების დონე და შეფასებისას გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა, რომელიც შესაბამისობაში მოდის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან.

<u>პროცედურის გამოყენების არე</u>

პროცედურა აღწერს არსებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების საფუძველზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგებს.

<u>პროცედურის განხორციელების ფაზები და ვადები</u>

მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პროცედურა შედგება სამი ფაზისაგან:

1.1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის წინამოსამზადებელი პერიოდის ფაზა (მასალების შეგროვება);
1.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის ფაზა;
1.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისს ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგების წარდგენის ფაზა.

<u>წინამოსამზადებელი პერიოდი</u>

სკოლის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებს, რომელიც მოიცავს როგორც მიმდინარე (აქტივობა და შუალედური გამოცდა) ასევე დასკვნითი გამოცდის შედეგებს, ბლოკის/საგნის საბოლოო შედეგებით.

<u>ანალიზის ფაზა</u>

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი შეიძლება ჩატარდეს პროგრამის, სკოლის ან/და სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესაფასებლად, ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის ეფუძნება შემდეგ დოკუმენტაციას :

1. სტუდენტის გამოცდაზე გამოცხადების სტატისტიკა
2. გამოცდების მიმდინარეობის შეფასება როგორც სტუდენტის, ასევე აკადემიური პეროსნალის მიერ
3. შეფასებათა დინამიკის მაჩვენებელი ჯგუფში და ჯგუფის დინამიკა სასწავლო წლების მიხედვით

სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგი შედგება 3 კომპონენტისგან

- კმაყოფილების ანალიზი
- მოსწრების ანალიზი
- პროგრესის ანალიზი

კმაყოფილების ანალიზის დროს, რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით ფასდება სტუდენტების კითხვარებში მოყვანილი ინფორმაცია სასწავლო მასალების, საგამოცდო ფორმატისა და კომპონენტის დასაძლევად გამოყოფილი დროის შესახებ, ასევე თვისობრივი მეთოდის გამოყენებით, ანალიზდება სტუდენტების მიერ კონკრეტულ კომპონენტში გასაჩივრებული სასწავლო მეცადინეობები თუ საგამოცდო ნაშრომები.

მოსწრების ანალიზის დროს, რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით ფასდება სტუდენტთა ჯგუფის მიერ თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის/ბლოკის შედეგად მიღებული მიმდინარე ან საბოლოო შეფასებათა განაწილება გაუსის სკალაზე, შედარებითი მეთოდის გამოყენებით მოსწრების ანალიზი შედარდება კმაყოფილების ანალიზის შედეგებთან მარტივი/რთული სასწავლო კომპონენტების გამოსავლენად

პროგრესის ანალიზი გულისხმობს სტუდენტისა და ჯგუფის აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი შეფასების (GPA) ცვლილებაზე დაკვირვებას (სემესტრულ საშუალო მოსწრების შედარებას სწავლის განმავლობაში).

ვინაიდან სასწავლო კურსი მოიცავს ინტეგრირებულ საგნებს (ბლოკი) და დამოუკიდებელ საგნებს, ამიტომ შეფასება თითოეული საგნის/ბლოკის ხორციელდება ცალ-ცალკე.

პროცესის გამარტივებისა და საერთო სურათის მარტივად აღქმის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ქულები (E და A ქულებს შორის) ჯამდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- I კატეგორია- 81 და მეტი ქულა
- II კატეგორია- 61-80 ქულა
- III კატეგორია- 61 და ნაკლები ქულა
- FX .41-50 ქულა
- F 0-40 ქულა

საშუალო არითმეტიკულის მიხედვით გამოითვლება თითოეული ბლოკის/საგნის წარმატების ხარისხი.

<u>შედეგების წარდგენის ფაზა</u>

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგებს წარუდგენს სკოლის საბჭოს.

შედეგების განხილვის შედეგად, სკოლის საბჭო ისმენს რეკომენდაციებს, იხილავს და იღებს სამოქმედო გეგმას საგანმანათლებლო პროგრამისა და სწავლის პროცესის სამომავლო განვითარების თაობაზე.

შეფასების შედეგებზე რეაგირება

სასწავლო პროცესის შეფასების ცალკეული კომპონენტები, დამოუკიდებლად ან განზოგადებული სახით აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სემესტრულ/წლიურ დასკვნებში.

შეფასების შედეგებზე დაფუძნებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წერს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასკვნას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს შემდგომი განვითარებისა ან აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფრვის მიზნით. დასკვნა და რეკომენდაციები წარედგინა პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც გონივრულ ვადაში სკოლის საბჭოზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით წარადგენს სამოქმედო გეგმას განვითარების თუ ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ. ამ პროცესში იგი იღებს უკუკავშირს და სამოქმედო გეგმა მტკიცდება საბჭოს მიერ.

განსახორციელებელი ცვლილებები შესაძლოა განსხვავდებოდეს მათი გავლენის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგებზე:

ცვლილებები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებზე, როგორიცაა სასწავლო კურსების სილაბუსებში შესატანი მცირე მოცულობის ცვლილებები, აკადემიური კორპუსის გადახალისება, მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ. პროგრამის ხელმძღვანელი იმავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახდენს მოდიფიცირებებს და შემდგომ სკოლის საბჭოზე წარადგენს სამოქმედო გეგმის ანგარიშს.

პროგრამის სწავლის შედეგებზე გავლენის მქონე ცვლილებები, რომელიც განაპირობებს პროგრამის მნიშვნელოვან მოდიფიცირებას, პროცედურას აქცევს ამ პოლიტიკის IV თავით განსაზღვრულ პროცესში, რაც გულისხმობს პროგრამის მოდიფცირების პროექტის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების ეტაპების გავლას. აღნიშნულმა შესაძლოა დააყენოს პროგრამის რეაკრედიტაციის საკითხი, ზემოთ აღნიშნულ თავში მოყვანილი პროცედურითა და მარეგულირებელ დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

უკუკავშირის მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაინტერესებულ მხარეებს ყოველსემესტრულად უწყვეტად აწოდებს გამოკითხვის შედეგებს რეაგირებისათვის. დაინტერესებულ მხარეებს მიეკუთვნება უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს ყოველწლურ ანგარიშს, სადაც ასევე ასახულია სტუდენტების

კმაყოფილების კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მათი გაზიარების შესახებ ინფორმაცია.

სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიაწოდებათ ინფორმაცია მათი უკუკავშირის გაცნობისა და ადეკვატური რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ;

უნივერსიტეტი განათავსებს დეტალურ ანგარიშს დაინტერესებული ყველა მხარისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება გაეცნონ მათი რომელი უკუკავშირის გაზიარება განხორციელდა პრაქტიკაში;

ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტებს საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონს სურვილის მიხედვით ფოკუს ჯგუფებში, რათა ვებრალურადაც მოხდეს უკუკავშირის განხილვა.

აკადემიურ საბჭოს განახლებულ დებულებაში ცალსახად განისაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების ანგარიშის მოსმენა, და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა იმპლემენტაციას უნივერსიტეტის საორგანიზაციო პროცესებში შემდგომ უნივერსიტეტის მმართველი გუნდი განახორციელებს.

თავი VI. სამეცნიერო კვლევების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მიზანი

სასწავლო უნივერსიტეტის მიზანია გაზარდოს აკადემიური პერსონალის სამეცნირო პროდუქტიულობა და წაახალისოს მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტების სამეცნიერო ინტერესები. სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად ბაუს განსაზღვრულია აქვს სამეცნიერო პრიორიტეტები, შემუშავებული აქვს კვლევის სტრატეგია და სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილი აქვს კვლევის მიზნები წლების მიხედვით. იმისათვის, რომ პერსონალმა წარმატებით და შეუფერხებლად განახორციელოს კვლევა ბაუს შემუშავებული აქვს კვლევის ეთიკის კოდექსი, საუნივერსიტეტო დონეზე შემუშავებულია სტანდარტები, რომელთა დაცვაც ევალდებულება კვლების განმახორციელებელ პერსონალს.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით განსაზღვრულია მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს განხორციელებული სამეცნიერო კვლევების ხარისხის უზრუნველყოფას და აკადემიური არაკეთილსინდისიერების თავიდან აცილებას. კვლევის ეთიკის კოდექსი თავის მხრივ მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის კომპონენტებს. გარდა ამისა ხარისხის სამსახური იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

- **კვლევითი პროექტის ხარისხის უზრუნველყოფა**
- **განხორციელებული კვლევის ხარისხის უზრუნველყოფა**
- **აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება**
- **სტუდენტური კვლევის წახალისება**
- **კვლევების საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

კვლევის პროექტის ხარისხის უზრუნველყოფა

კვლევის პროექტის ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს განსახორციელებელი კვლევის შინაარსის შესაბამისობის დადგენას სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და ხედვასთან, კვლევის პოლიტიკის საკვანძო პრიორიტეტებთან, კვლევაში ეთიკური საკითხების გათვალისწინების, ასევე, კვლევითი კონკურსების შემთხვევაში - ობიექტური და სამართლიანი შეფასების განხორციელების თვალსაზრისით.

აკადემიურ საბჭოზე წარდგენამდე ხდება საკვლევი საკვლევი თემის აქტუალობას, კვლევის განხორცილების შესაძლებლობის, ასევე კვლევის ეთიკის საკითხების გათვალისწინების შეფასება შესაბამისი დარგობრივი კომისიების მეშვეობით.

განხორციელებული კვლევის ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორიციელებს უკვე განხორციელებული კვლევების ხარისხის კონტროლს. კერძოდ, ხელს უწყობს სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისირების დამკვიდრებას და კვლევითი ანგარიშების შემოწმებისას იყენებს პლაგიატის პროგრამა „Turnitin“-ს.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს ყოველ სემესტრულ ანგარიშს და აფასებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიოულობას. აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი ასევე ითვალისწინებს პერსონალისთვის კონკრეტული რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომების მომზადების ვალდებულებას. აკადემიური პერსონალის არჩევის წესში კი აკადემიურ თანამდებობაზე შესაძლოა აირჩეს პირი, რომელსაც აქვს მაღალი სამეცნიერო აქტივობა. განსაკუთრებით პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში. სამეცნიერო პროდუქტიულობის დადასტურება, პროფესორის შემთხვევაში განსაზღვრულია h ინდექსი 3-ით, ხოლო ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში- 2 (Google Scholar საძიებო სისტემაში).

განსახორციელებული კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად სასწავლო უნივერსიტეტი აკადემიური პირის არჩევისას ითვალისწინებს მხოლოდ საერთაშორისო იმფაქტ ფაქტორის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) და რეფერირებად (ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) ჟურნალებს, რათა ასეთი პირების არჩევისას გარანტირებული იყოს მათი სამეცნიერო პროდუქტიოულობის მაღალი ხარისხი.

პირების აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემდგომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკვირდება მათ სამეცნიერო პროგრესს და განიხილავს შედეგებს პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანთან ერთად შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სტუდენტური კვლევების წახალისება

სტუდენტების ჩართულობა აკადემიური პერსონალის კვლევასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში კვლევაზე დაფუძნებული სწავლების არსებითი ელემენტია. კვლევაში ჩართვა ხდება ლაბორატორიული სავარჯიშოების, კრიტიკული კვლევების და, განსაკუთრებით, რეალურ კვლევით პროექტებში მონაწილეობის სახით.

აკადემიური პერსონალის კვლევითი პროექტები უნდა ითვალისწინებდეს კვლევაში სტუდენტების ჩართვის შესაძლებლობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს როგორც სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობას, ასევე განხორციელებულ კვლევებში სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაოს ავთენტურობის დადგენას და აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრებას.

განხორციელებული კვლევების საჯაროობა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უწევს მონიტორინგს განხორციელებული კვლევების გასაჯაროებას, რათა ხელი შეუწყოს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის არსებობას.

თავი VII. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გარდა, სასაწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები.

ახალი საგანმანთლებლო პროგრამის პროექტის საექსპერტო შეფასება

პროგრამის პროექტის შეფასების პროცესში გარდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის გამოყენებისა მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმის გამოყენება, კერძოდ, დარგის/სფეროს ექსპერტის მიერ პროგრამის პროექტის გადახედვა და მისი შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც თავსებადია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

საექსპერტო შეფასების მიერ მიღებულ რეკომედაციებს პროგრამის ხელმძღვანელი განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად და რელევანტობის შემთხვევაში ითვალისწინებს პროგრამის საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად, რომელიც უნდა წარედგინოს აკადემიურ საბჭოს.

ექსპერტების მოძიებისას მნიშვნელოვანია რელევანტური პრაქტიკური/კლინიკური გამოცდილების მქონე, სფეროში დასაქმებული პირის მოძიება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სიახლოვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის საექსპერტო შეფასება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამის პერიოდულ გადახედვას და იყენებს გარე მექანიზმს პროგრამის ფუქნციონირების პროცესშიც, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის მოდიფიცირების გეგმის დასახვა და მისი გაუმჯობესება. როგორც ახალი, ისე მოქმედი პროგრამების გარე შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობაც, რათა პროგრამა ითვალისწინებდეს კარგ საერთაშორისო პრაქტიკას და შესაძლებელი იყო

მომავალი კურსდამთავრებულების საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საექსპერტო შეფასების მიერ მიღებულ რეკომედაციებს პროგრამის ხელმძღვანელი განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად და რელევანტობის შემთხვევაში ითვალისწინებს პროგრამის მოდიფიცირების პროცესში.

ექსპერტების მოძიებისას მნიშვნელოვანია რელევანტური პრაქტიკული/კლინიკური გამოცდილების მქონე, სფეროში დასაქმებული პირის მოძიება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სიახლოვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

სტრატეგიული განვითარების გეგმის გარე შეფასება

სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა მორგებული იყოს ინსტიტუციის საჭიროებებზე და განსაზღვრავდეს რეალურ სამოქმედო გეგმას როგორც სამი, ისე მთლიანად შვიდი წლის პერსპექტივით.

იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს შემუშავებული სამიზნე ნიშნულების და მიღწევის ინდიკატორების სისწორე ბაუ უზრუნველყოფს მენეჯმენტის წამყვანი სპეციალისტების მიერ სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასებას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

მმართველობითი პროცესების გარე შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს მმართველობითი პროცესების საექსპერტო შეფასებას, მაგალითად, როგორიცაა ISO:9001. სერთიფიცირების მოპოვების შემდგომ ხორციელდება ყოველწლიური აუდიტი და განსავითარებელი ღონისძიებების დაგეგმა. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს ინსტიტუციის უწყვეტ განვითარებას და ხარისხის უზრუნველყოფის მთლიანი სისტემის გაძლიერებას.

გარე მექანიზმების მიზანია, სასწავლო უნივერსიტეტის შეფასება განხორციელდეს რაც შეიძლება მეტი ექსპერტისა და დარგის სპეციალისტის მიერ, როგორც ეროვნულ

ისე საერთაშორისო დონეზე. ბაუს გაცნობიერებული აქვს განმავითარებელი რეკომედაციების მნიშვნელობა ინსტიტიციური წინსვლისა და წარმატებისთვის, ამისათვის შემუშავებული აქვს გარე შეფასებების მომზადების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ყველა მნიშვნელოვანი პროცესის და პროგრამების შეფასებას. აღნიშნული პროცესი არ არის დამოკიდებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული გეგმური გარე შეფასების პერიოდულობაზე.

გარე ინსტიტუციური შეფასება (Peer Review)

სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და კარგი აკადემიური თუ მმართველობითი პრაქტიკის იმპლემენტაციაზე საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პროცესებში.

Peer Review - ანუ კოლეგიური შეფასება, წარმოადგენს პარტნიორი დაწესებულებების შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ თვითშეფასებაზე, რომელიც გამოიხატება განმავითარებელი რეკომენდაციების ჩამოყალიბებით.

გარე ინსტიტუციური შეფასების მიზნით უნივერსიტეტი შეიმუშავებს შეფასების ფორმებსა და წესს, ასევე ზრუნავს შემფასებელთა კონსორციუმის ჩამოყალიბებაზე.

აკრედიტაცია

აკრედიტაცია არის აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. აკრედიტაციის სტანდარტი არის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG – 2015) გათვალისწინებით დადგენილი

მოთხოვნები ხარისხის ნიშნულისადმი, რომლის მიხედვითაც ფასდება საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის დონე.

პროგრამის თვითშეფასების პროცესში, დაწესებულება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის გზით ახდენს პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შეფასებას და დასახავს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების გზებს.

პროგრამის აკრედიტაციის პროცესში, პროცესში ჩართული შემფასებლების მიერ გაიცემა რეკომენდაციები/რჩევები, რომლის შესრულება პროგრამის შინაარსის, რესურსების, ხარისხის უზრუნველყოფის, სტუდენტური სერვისების და სხვა მახასიათებლების/კომპონენტების განვითარებისკენ არის მიმართული.